დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ ვალიშვილი**

წევრები:

სახელი, გვარი - **სოფიკო დეკანოსიძე**

სახელი, გვარი - **ქეთევან ღვანიძე**

სახელი, გვარი - **მაკო ჯაოშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA*

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29/06/2018წ. ბრძანება N576-ის თანახმად ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 25, 26 და 27 ივლისს ვიზიტი განახორციელა საზოგადოებრივ კოლეჯ „საქართველოს ბიზნეს აკადემიაში SBA".

25 ივლისს ექსპერტები გამოცხადდნენ დაწესებულებაში დილის 10.00 საათზე, გაესაბრუნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გაცნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. ადგილზე გადამოწმდა დოკუმენტაცია, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის, სამოქმედო გეგმების შესრულების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების არსებული პრაქტიკის მარეგულირებელი აქტები.

ექსპერტებმა შეამოწმეს ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (საგანმანათლებლო სივრცეები, ადაპტირებული გარემო, A, B და C სასწავლო გარემო), საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ტექნიკური აღჭურვილობა. გასაუბრება ჩატარდა ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან, სამედიცინო პუნქტის მედდასთან და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან. გადამოწმდა დაწესებულების ზოგადი მარეგულირებელი და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტები, ხარისხის მართვის სამსახურის დოკუმენტაცია (ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია და ხარისხის მართვის მარეგულირებელი წესი, თვითშეფასების კითხვარები, გამოკითხვის და დაკვირვების ოქმები, ანალიზის შედეგები, რეკომენდაციები, მათი შესრულების დამადასტურებელი საბუთები, პროგრამებში, მოდულებსა და რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტები) პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დღის ბოლოს ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს შემოწმების შედეგები.

ვიზიტი გაგრძელდა 2018 წლის 26 ივლისს დილის 10 საათიდან. თავდაპირველად ექსპერტებმა შეამოწმეს სტუდენტთა რეესტრი და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შემდეგ გაესაუბრნენ საბაჟო საქმის პირველი კურსის პროფესიულ სტუდენტებს, ასევე ყველა მოდულური პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და პროგრამების ხელმძღვანელებს. გადამოწმდა სასწავლო პრაქტიკული კურსის დამადასტურებელი მემორანდუმები და ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან. დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინტერვიუებით მიღებული შთაბეჭდილება და შეაჯამეს შედეგები.

ვიზიტის მესამე დღეს - 2018 წლის 27 ივლისს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, ტურისტული კომპანია „კონკორდთრეველი," (მისამართი: თბილისი, ჯანაშვილის ქ. #3) შპს „გრინვეი ლოჯისტიკ", (თბილისი, დადიანის ქ. #7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა") შპს „ბიზნეს ადმინისტრირების მხარდაჭერის ცენტრი" / ფინანსური ოფისი (მისამართი: დადიანის გამზ. # 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა")) და ტერაბანკის სათაო ოფისი (თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #3) მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების/ მემორანდუმების პირობების მიხედვით ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან; ვიზიტის ადგილზე გადამოწმდა ვებ გვერდის წარმოების წესი, საქმისწარმოების დოკუმენტაცია. ექსპერტები გაესაუბრნენ საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა შეიმუშავეს დასკვნის პროექტი, იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გარშემო, შეაჯამეს შემოწმების შედეგები და ძირითადი მიგნებები გაცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

[თბილისი, 2018წ.]

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018 წ.]

	კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;			
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	**დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;**	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	**დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;**	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	**დაწესებულებაში მიმდინარეობს** გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	**დაწესებულებაში დაცულია** პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა **უსაფრთხოება** და ჯანმრთელობა, რისთვისაც **არსებობს:**	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო **უსაფრთხოების** უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	**დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018 წ.]

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამები. პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ისე. რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გამომდინარე დაწესებულების მისიიდან. რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018]

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის მიერ განხორციელებული განსხვავებული პროექტები და აქტივობები. კერძოდ,

1. საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის საავტორო პროექტი - ინტელექტუალური ბიზნეს ოლიმპიადა „მომავლის ბიზნესმენები"; პროექტის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებების ჩატარება, მათი უნარების აღმოჩენა, სტიმულირება და ცხოვრების ახალი მიმართულებების იდენტიფიცირება;

2. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის", მცირე საგრანტო პროექტი - "მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მეწარმეობის და გაცნობითი პრაქტიკის მოდულებისათვის შეფასების ინსტრუმენტების განვითარება და შეფასების განხორციელების პრაქტიკის გაზიარება", რომლის საფუძვლესაც წარმოადგენდა აკადემიის პერსონალის მიერ შექმნილი მეწარმეობის მოდული, სტუდენტისა და მასწავლებლის სახელმძღვანელო. პროექტის ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტებმა გაიარა პილოტირება არაერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ის თავისუფალ წვდომაშია ყველა დაინტერესებული პირისათვის;

3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა". პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აკადემია სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ, დაჯილდოვდა როგორც 2017 წლის საუკეთესო პარტნიორი ორგანიზაცია. შეფასების ინდიკატორებს წარმოადგენდა: სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მაღალი ხარისხი, კვალიფიციური პერსონალი, მენეჯმენტის მაღალი დონე, რაც დადგინდა პროექტის ორგანიზატორების მიერ მსმენელეთა გამოკითხვითა და პერმანენტული მონიტორინგის შედეგებით.

4. საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ორგანიზებული „საშაბათო სკოლა", რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფის ახალგაზრდებში IT უნარების/ცოდნის გაძლიერებისა და დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა. პროექტი უწყვეტად ხორციელდება 4 წლის განმავლობაში. სწავლებისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ხარჯებს სრულად ფარავს აკადემია.

5. საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ორგანიზებული ყოველწლიური „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია" აკადემიის სტუდენტების, მასწავლებლებისა და მოწვეული სტუმრებისათვის, რომლის მიზანია აქტუალური საკითხების იდენტიფიცირება, ანალიზი და საზოგადოებისათვის მიწოდება, სტუდენტებისათვის (მათ შორისო პროფესიული სტუდენტებისათვის) საბაზო კვლევითი ფართო აუდიტორიის წინაშე მუშაობის უნარების გამომუშავება. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები და სამეცნიერო ჟურნალები აკადემიის მიერ გამოიცემა ბეჭდური სახით.

6. საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ორგანიზებული „დასაქმების ფორუმი" აკადემიის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. პროექტის მიზანს წარმოადგენს აკადემიის მრავალრიცხოვანი პარტნიორი ორგანიზაციებისათვის საჭირო კადრებით უზრუნველყოფისა და აკადემიისა სტუდენტების/კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების ხელშეწყობა. ამ პროექტში მონაწილეობა ორივე მხარისათვის არის სრულიად უფასო. კომპანიები რეალურ ვაკანსიებს სთავაზობენ დასაქმების მსურველებს, რითაც სტუდენტები/კურსდამთავრებულები საქმდებიან მათთვის სასურველ პოზიციებზე ან იძენენ გამოცდილებას შემდეგი გასაუბრებისათვის.

7. შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები აკადემიის სტუდენტებისათვის: „SBA-ის სტუმარი", „პოეზიის საღამო", „ბიზნესი და გაზაფხული", „ბუშტებით ფეხბურთი", „ბოულინგის ტურნირი", „შიდა საფეხბურთო ჩემპიონატი." ღონისძიებების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სტუდენტების სტიმულირება და მათი ცნობადობის ამაღლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

[თბილისი, 2018წ.]

8. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიმართულებით, ხარისხის მართვის სამსახურის დამხმარე მუშა ჯგუფის - შიდა მონიტორინგის ჯგუფის აქტიური მუშაობა და ხარისხის მენეჯმენტისათვის მხარდაჭერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების (არჩევითი მოდულები, საგანმანათლებლო რესურსი, სასწავლო ვიზიტები, სასწავლო გეგმის გაუმჯობესების და სხვა მიმართულებით), სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების (მეცადინეობებზე დასწრება და შედეგების პერმანენტული განხილვა, აზრის გაცვლა დარგის სპეციალისტებს შორის, თანამედროვე ინტერნეტ-რესურსებისა და პროგრამების მოძიება და სხვა), შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფის (შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის მოქნილობის, ვალიდურობის, ავთენტურობის, სიმარტივისა და სხვათა გათვალისწინებით) და შეფასების პროცესზე დაკვირვების მიმართულებით, რითაც პროცესი უფრო საინტერესო და ხარისხზე ორიენტირებული ხდება.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის მიმდინარეობისას არ დაფიქსირდა არც ერთი ხარვეზი.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- ახალ დანერგილ პროგრამებზე სტუდენტების მოზიდვის მიზნით რეკომენდირებულია აკადემიამ უფრო ეფექტურად გამოიყენოს საკომუნიკაციო არხები, კერძოდ, კონკრეტული პროგრამების მოკლე აღწერა სასურველია განთავსდეს შესაბამისი პარტნიორი- ორგანიზაციების ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში.

- პროგრამის ეფექტიანობისთვის, მიზანშეწონილია პროგრამების ხელმძღვანელებსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს შორის ორმხრივი ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018]

VII. დაწესებულების მისია

SBA განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებაზე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობას.

აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ დარგობრივი, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, როგორც საკვალიფიკაციო პროგრამების, ისე კურიკულუმის მიღმა აქტივობების განხორციელების გზით, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას, პიროვნულ განვითარებას და მის საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბებას.

ფართო სპექტრის, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული და მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზების, სასიამოვნო და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს და სერვისების უზრუნველყოფის, სწავლების დაგეგმვასა და განხორციელებაში აკადემიის საზოგადოების ჩართულობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სწავლის შედეგების მიღწევის ალტერნატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის გზით, აკადემია ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიონალურ და პიროვნულ ტრანსფორმაციას, იმის გააზრებას თუ როგორ შეუძლიათ ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობით, კრეატიულად მიუდგნენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და ამ გზით სარგებელი მოუტანონ ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებას.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება გეგმავს 9 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას (მათ შორის 1 დუალური მოდულური პროგრამა). თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, სწავლის ხანგრძლივობა, სწავლების ენა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018წ}

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სფეროს აღწერა/ანოტაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგების რუქა, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის და მატერიალური რესურსის შესახებ, დასაქმების სფერო და ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. ყველა პროფესიული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავების შემდეგ წარედგინა სენატს, რომელიც დაკომპლექტებულია ადმინისტრაციული პერსონალით, პროგრამების განმახორციელებელი პირებით, დამსაქმებლებით, ასოციაციის წარმომადგენლებითა და სტუდენტებით. სენატის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამები დამტკიცდა აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ანალიზის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შეფასების სისტემა და მტკიცებულებათა შეგროვების მიდგომები, მოცემულია როგორც პროგრამებში, ისე მოდულებში.

1) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ –</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „საბაჟო საქმის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03). პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს.

პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში - *Fifth level vocational qualification in customs study.*

საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 106,5 კრედიტს და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს 65%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 35%. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულებს საერთო ხანგრძლივობის 12%-ის მოცულობით. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე. საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 136,5 კრედიტს და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს 65%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 35%. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 26 სასწავლო თვე.

პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს „ჯი თი ექსპრეს სერვისი“ , შპს „გაკო ტერმინალი“, შპს „ GREENWAY LOGISTIC LTD".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

2) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ – დუალური სწავლებით</u>

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ორი მიდგომით: 1. სწავლება სრულად მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში 2. სწავლება მიმდინარეობს, როგორც შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში, ისე სასწავლო საწარმოში (დუალური მიდგომა). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური სწავლების პრინციპი განავრცეს დაწესებულების ხელმძღვანელმა და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიურების დროს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული„ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03). პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს და პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით. პროგრამაში ცვლილებები შესულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 15 მარტის N025 ბრძანებით. პროგრამა შეთანხმებულია სასწავლო საწარმოსთან - შპს „ბიზნეს ადმინისტრირების მხარდაჭერის ცენტრთან“.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - Fifth level vocational qualification inAccounting.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 129კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 25 თვე.

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"-ისა და შპს „ბიზნეს ადმინისტრირების მხარდაჭერის ცენტრს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

3) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ –</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03). პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 116 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 22 თვე. აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 28 თვე.

პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: ა(ა)იპ ქ. თბილისის N76 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, ახვლედიანის ქ. N14; ა(ა)იპ ქ. თბილისის N145 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის მე-4 შესახვევი N4; ა(ა)იპ ქ. თბილისის N58 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის 111; ა(ა)იპ ქ. თბილისის N36 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N30.

4) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“ –</u>

მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA"-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის

მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 115 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 84 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 22 თვე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 145 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 28 თვე.

ტურიზმის პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: ერენდელ თრეველი ; კონკორდ თრეველი.

5) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ოფისის მენეჯერი“ –</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03). პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

თებერვალს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში - Fourth level vocational qualification in office work.

ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 59 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 15, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 11 თვე. ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 89 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 45, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 17 თვე.

პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: ა(ა)იპ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობა, მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის მე-3 შესახვევი, N33; შპს ,,სკოლა ოპიზა", მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილი ზ/ბ, მე-2 მკრ. N11; სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1.

6) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა" –</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03) პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA"-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში/ Fourth level vocational qualification in logistics.

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 69 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 15, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 54 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 13 თვე. ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 45, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 54 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე.

ლოგისტიკის პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს „აი ტი ემ გლობალ ლოჯისტიკა"; შპს „სუფარის ტრანსპორტ სერვისი"; შპს ,,გაკო ტერმინალი"; შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD".

7) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები"</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისების" საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03). პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA"-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში - Third level of professional qualification in finance services.

ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 55 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 4. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 11 თვე. ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 70 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 31, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 4. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 14 თვე.

ფინანსების პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: სს ტერაბანკი; შპს „იკო & გიო"; შპს „გუდვილი"; შპს „"დანიდე".

8) <u>ინფორმაციის ტექნოლოგია (მე-3 საფეხური) –</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგია" მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03).

პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, Third level vocational qualification in Information Technology Support;

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 44 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 11 თვე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 75 კრედიტი, რომელთაგან 31 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 44 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 14 თვე.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შემდეგ დაწესებულებასთან: შპს „ნიუტელკო ჯორჯია".

9) <u>საბაჟო საქმე - CUSTOM STUDY - (მე-5 საფეხური - ინგლისურენოვანი)</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე" მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „საბაჟო საქმის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03). პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA"-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 30 მარტს. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 30 მარტის N030 ბრძანებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში - *Fifth level vocational qualification in customs study.*

პროგრამა ითვალისწინებს სწავლებას ინგლისურ ენაზე, შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის ხდება ინგლსიური ენის კომპეტენციის დადასტურება. კერძოდ, პირს ინგლსიური ენის კომპეტენცია უდასტურდება ერთ-ერთი მტკიცებულების წარმოდგენის საფუძველზე: ა) თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს; ბ) თუ პირმა წარმოადგინა საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი (ინგლისურის, როგორც მეორე უცხო ენის ტესტის ჩაბარების დოკუმენტი ან სხვა); დოკუმენტის წარმოდგენა არაა სავალდებულო, თუ პირი არის იმ ქვეყნიდან, რომლის სახელმწიფო ენაა ინგლისური. გ) თუ პირმა, აკადემიის მიერ დადგენილი წესით, წარმატებით გაიარა საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის სასერტიფიკატო გამოცდა. პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ინგლისური ენის კომპეტენცია ვერ ჩაირიცხებიან ინგლისურენოვან საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს „ჯი თი ექსპრეს სერვისი" - საბაჟო-სატერმინალო მომსახურება; შპს „გაკო ტერმინალი", შპს „ GREENWAY LOGISTIC LTD.

<u>საგანმანათლებლო</u> <u>პროგრამების</u> <u>ჩამონათვალი,</u> <u>გარდა</u> <u>პროფესიული</u> <u>საგანმანათლებლო</u> <u>პროგრამებისა:</u>
<u>დაწესებულება</u> <u>არ</u> <u>ახორციელებს</u> <u>სხვა</u> <u>პროგრამების,</u> <u>გარდა</u> <u>პროფესიული</u> <u>საგანმანათლებლო</u> <u>პროგრამებისა.</u>

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018წ.}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *„საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 გრძანებით - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ";*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის დებულებით (დამტკიცებულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის დირექტორის გრძანებით N011, 26/02/2018წ);*
- *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით" (დამტკიცებულია აკადემიის რექტორის გრძანებებით N027, 27.06.2011; N026, 15.03.2018წ);*
- *პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით (დამტკიცებულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის რექტორის 2015 წ. 5 თებერვლის N081 გრძანებით);*
- *მოდულური პროგრამების ხელმღვანელებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით;*
- *პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით;*
- *აკადემიის ვებ გვერდზე განთავსებული პროფესიული პროგრამებით https://sba.edu.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90-2*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია აკადემიის მისიის, პარტნიორების, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში აკადემიის ჩართულობის, პრაქტიკის კომპონენტის მიმდინარეობის, პერსონალის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროობის მქონე სტუდენტებისათვის აკადემიის მიერ შეთავაზებული პირობების, სერვისისა და ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესისა და აკადემიაში არსებული სხვა არსებული სერვისების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საქართველოს ბიზნესის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;*
- *დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით: https://sba.edu.ge/ka/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1/*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ]

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი;*
- *პროფესიული სტანდარტებით;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები გაწერილი აქვს აკადემიის წესდების „სასწავლო პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე" ნაწილში. კერძოდ,

საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რაც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ სტანდარტს და არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (მუხლი 48). პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე ჩარიცხვისას, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხვისას, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდა, ხოლო შემდეგ ეტაპზე იმ აპლიკანტებს, რომლებსაც ზოგადი განათლების იმ საფეხურზე,

რომელიც პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს, აქვთ უფრო მაღალი საშუალო შეფასება (მუხლი 49). ინფორმაცია პროგრამაზე მიღების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, დაწესებულების ვებ -გვერდზე და შესაძლოა სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სადაც დამატებით მიეთითება საკონტაქტო და სხვა სახის საჭირო ინფორმაცია. პროგრამაზე რეგისტრაციის დაწყების შესახებ ინფორმაცია შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში (მუხლი 51).

მიმღები კომისია იღებს გადაწყვეტილებას პირის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ და წარუდგენს რექტორს რეკომენდაციას პირის ჩარიცხვის თაობაზე. კომისია უფლებამოსილია პირის ჩარიცხვის წინაპირობებთან შესაბამისობის დაზუსტების მიზნით, მიმართოს აკადემიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და სპეციალისტებს. ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების დეპარტამენტი (მუხლი 54).

რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ; მონაცემები ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კალენდარული დღისა ადმინისტრაციას შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში (მუხლი 55). ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას პროფესიულ სტუდენტთან, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მის კანონიერ წარმომადგენელთან (მუხლი 56).

პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლებელია შეუჩერდეს შემდეგ შემთხვევებში: ა) ფინანსური დავალიანების დადგენილ ვადებში გადაუხდელობა; გ) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა, რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუ სტუდენტს სამხედრო სამსახურში ყოფნის რეჟიმი საშუალებას აძლევს დაესწროს მეცადინეობების გარკვეულ რაოდენობას, მას საშუალება უნდა მიეცეს განაგრძოს სწავლა ინდივიდუალურ რეჟიმში; დ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე; ე) მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება; თ) სტუდენტის პირადი განცხადება; თ1) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ზე ნაკლების აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში; ი) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეინატება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ითვლება სტატუს შეწყვეტილად (მუხლი59).

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ სასწავლებელი განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე; პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რექტორს. განცხადებაში უნდა მიეთითოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში). პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები ფიქსირდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია ერთი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ (მუხლი 60).

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია: ა) შინაგანაწესით და ქცევის კოდექსით დადგენილი შემთხვევები; ბ) აღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა; გ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; დ) დაწესებულების მიმღები კომისიისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას მოახდენდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე; ე) პროფესიული პროგრამის დასრულება; ე1) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა და გამოუცხადებლობა; ე2) სტუდენტის პირადი განცხადება; ე3) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ის ან მეტის აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში; ე4) გარდაცვალება; ვ) საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

პროფესიული სტუდენტის სტატუს შეწყვეტილ პირს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის გასვლის შემდეგ აღარ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური. სურვილის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა მან უნდა გაიაროს თავიდან (მ უ ხ ლ ი 61).

სურვილის შემთხვევაში სასწავლებელი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა გადასვლას სხვა სასწავლებელში მობილობის წესით, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი შესაბამისი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას; ადმინისტრაცია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დადგენილი წესით მისცეს პირადი საქმის ასლი (მუხლი 62).

პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა მობილობით შესაძლებელია იმავე საფეხურის იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობდა სტუდენტი, თუკი იმავე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 30 კრედიტს აღემატება; მობილობის მსურველი შესაბამისი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას, რასაც თან დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას: ა) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი; ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ. პროფესიული განათლების დეპარტამენტი ზოგიერთ შემთხვევაში უფლებამოსილია მობილობის მსურველს გაუგზავნოს წერილობითი დასაბუთებული მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე. პროფესიული განათლების დეპარტამენტი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან. სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პრფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

შესაძლებლობის საკითხს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე. აგრეთვე რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის პროექტს. აღნიშნული დასკვნა და ინდივიდუალური სამართლებლივი აქტის პროექტი ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ხორციელდება პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. მობილობის განხორციელებამდე პროფესიული განათლების დეპარტამენტი ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობისას პირს შეუძლია მობილობა განახორციელოს ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული კვოტის ფარგლებში. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და აკადემია ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლის შედეგებს. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი; მობილობის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ; მოდულური პროგრამების ფარგლებში მობილობით ჩარიცხული პირისათვის საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა (მუხლი 63).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის წესდებით;*
- *ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციით https://sba.edu.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც გაწერილია აკადემიის წესდებაში (მუხლი 66, 67) და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესში.

პროფესიული სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის მოცულობაც არ აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს მას სწავლა იმ პროგრამით, რომლითაც დაიწყო; 66.3 თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მოცულობა აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანოს პროფესიული სტუდენტი ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე; ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანისას პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი და ხარისხის მართვის სამსახური ვალდებულნი არიან სენატს დასამტკიცებლად წარუდგინონ გარდამავალი პერიოდის დროებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის, უნარების და ფასეულობათა ათვისება სტუდენტის მიერ, პროგრამის უწყვეტობის პირობებში; სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დროებითი პროგრამის შემუშავებაში; თუ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა აღემატება ძველისას, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას დადგენილი წესით, სწავლის საფასურის გაზრდის გარეშე; თუ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ნაკლებია ვიდრე ძველისა, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს უკან დაუბრუნოს გადახდილი სწავლის საფასურის ნაწილი, შემცირებული კრედიტების რაოდენობის პროპორციულად; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლამდე ხარისხის მართვის სამსახური ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა თუ რა კონკრეტული პროცედურა ხორციელდება დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ შპს მრავალპრფოლიან საზოგადოებრივ კოლეჯთან, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯთან „ახალი თაობა", შპს „საზოგადოებრივი კოლეჯთან რუბიკონი", შპს „ინტერბიზნესის აკადემიასთან", შპს „ქართულ-ევროპულ აკადემიასთან", ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯთან.

აკადემიას ასევე გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან. მემორანდუმი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის და აღიარების პროცედურებს, პროფესიულ სტუდენტთა მობილობის გაადვილების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის წესდებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

- *განათლების აღიარების და პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესით;*
- *თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან (2013წ);*
- *მემორანდუმით სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯთან „ახალი ტალღა" (13/07/2017წ);*
- *მემორანდუმით შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯთან (11/03/2012წ);*
- *ხელშეკრულება (მემორანდუმით) შპს „საზოგადოებრივი კოლეჯთან რუბიკონი" (3/07/2018წ);*
- *მემორანდუმით შპს „ინტერბიზნესის აკადემიასთან" (20/08/2012წ);*
- *მემორანდუმით შპს „ქართულ-ევროპულ აკადემიასთან" (21/06/2012წ);*
- *ხელშეკრულება (მემორანდუმით) ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯთან (15/05/2012წ).*
- *ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციით - https://sba.edu.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, სასწავლებელში შემუშავებულია „ხარისხის მენეჯმენტის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის ინსტრუქცია", რომელიც ითვალისწინებს საქმიანობის, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას და პროცედურებს. ინსტრუქციის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახური სისტემატურად ახორციელებს მონიტორინგს ისეთ პროცედურებსა და პროცესებზე როგორიცაა: პერსონალის შეფასება/მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/მონიტორინგი, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტთა სერვისების მონიტორინგი, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მონიტორინგი, საქმისწარმოებისა და დოკუმენტების მართვის მონიტორინგი, მენეჯმენტის ანალიზი და თვითშეფასება. მონიტორინგის პროცესი ასევე მოიცავს მხარეების გამოკითხვას, ურთიერთშეფასებებს და მიღებული შედეგების ანალიზს. ანალიზის შედეგების მიხედვით ხორციელდება პროცესებისა და პროცედურების შენარჩუნების და/ან გაუმჯობესების გეგმების შემუშავება, რომელიც განიხილება, როგორც მენეჯმენტის, ისე კოლეგიალური ორგანოს - სენატის სხდომაზე.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება სასწავლო კურსის/პროგრამის განხორციელების მონიტორინგი (მეცადინეობებზე დასწრება) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

პირების სასწავლო-მეთოდოლოგიური მუშაობის შეფასება. შეფასების/დასწრების შედეგები და რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების მუშაობის შესახებ აისახება დასწრების აქტებში.

სისტემატურად ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების შეფასება/ანალიზი მათ შესაბამისობაზე სასწავლო კურსის და მოდულების შედეგებთან/კრიტერიუმებთან. შეფასების ინსტრუმენტის საბოლოო ვერსიის ხარისხის მართვის სამსახურთან შეთანხმებამდე. ინსტრუმენტის საბოლოო ვერსიის ხარისხის მართვის სამსახურთან შეთანხმებამდე, ინსტრუმენტის შემოწმების პროცედურა წარმოებს ელექტრონულ ფორმატში. საჭიროების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტების განხილვა, ხდება ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სხდომებზეც.

მოდულების ერთობლივად განხილვა-დაგეგმვა ხდება ხარისხის სამსახურისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სხდომაზე, რის შემდეგ ხორციელდება ჩარჩო დოკუმენტის მოდულების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების, აღწერილი განსახორციელებელი აქტივობების, სწავლების მეთოდოლოგიის ანალიზი. მიღებული შედეგები, რეკომენდაციები მიეწოდება პერსონალს ელექტრონულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;*
- *მოდულური პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრებით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის რექტორის 2014 წ 14 ნოემბრის N178 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის მართვის სამსახურის დებულებით";*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ხარისხის მენეჯმენტის უზრუნველყოფისა და შიდა მონიტორინგის ინსტრუციით და მისი დანართებით;*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემია საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილ N18-22-ში არსებულ 1990.54 კვ.მ. შენობა-ნაგებობას, საკადასტრო კოდი [redacted]

არსებობს აზომვითი ნახაზები, სადაც გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართი.

დაწესებულების შენობის პირველი სართულის საერთო ფართი არის 1005,67 კვ.მ მათ შორის, სასწავლო ფართი არის 524.06 კვ.მ. ხოლო დამხმარე - 481,61 კვ.მ.

შენობის მეორე სართულის საერთო ფართი არის 849.24 კვ.მ მათ შორის, სასწავლო ფართი არის 594.48 კვ.მ ხოლო დამხმარე - 254.76 კვ.მ.

შენობის მესამე სართულის საერთო ფართია 135.63 კვ.მ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	*ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, 18-22*	*1990,54 კვ.მ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზი. მომზადებული შპს" ატრიუმის" მიერ

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიას გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. შენობა არის სამსართულიანია, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია 10 სასწავლო აუდიტორია უცხო ენის კაბინეტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული 2 ლაბორატორიის ჩათვლით (15-15 კომპიუტერით), ადმინისტრაციის კაბინეტები, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სამედიცინო პუნქტი, მცირე საკონფერენციო დარბაზი, დაცვის ოთახი, განსაკუთრებული საჭიროების პირთა მოსასვენებელი ოთახი და ადაპტირებული სანიტარული კვანძი, რექტორის კაბინეტი მისაღებით.

აკადემიის მეორე სართულზე განთავსებულია 5 აუდიტორია და კომპიუტერული ლაბორატორია (15 კომპიუტერით), დიდი საკონფერენციო დარბაზი, სამასწავლებლო, პერსონალის სამუშაო სივრცე და საკონსულტაციო შეხვედრების ადგილი.

მესამე სართულზე არის კვების ბლოკი.

სასწავლო აუდიტორიები უზრუნველყოფილია დაფებით, მერხებით, ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით. კომპიუტერები აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი პროგრამებით (ORIS-ბუღალტერია, „ინფო-საწარმო"(FMG SOFT), საბაჟო საინფორმაციო სისტემა ASYCUDA, LARDI-TRANS-ლოგისტიკა), საბანკო კომპიუტერული პროგრამა „ალტა".

დღეისათვის აკადემიის მფლობელობაშია:

			შენიშვნა
1	კომპიუტერი	73 ერთეული	მათ შორის 14 ერთეული გამოიყენება ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
2	პროექტორი	10 ერთეული	
3	პრინტერი/კომბაინი	13 ერთეული	
4	მონიტორი	2 ერთეული	
5	ასლგადამღები	1 ერთეული	ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დაწესებულებას გააჩნია "A", "B", და "C" გარემო, კერძოდ -

1. <u>საბაჟო საქმე (ქართულენოვანი) –</u>

1A - გარემო (N 206 – 30 ადგილი (მერხი, სკამი), 1 B გარემო (N 112 – 15 ადგილი), C - გარემო (ღია სივრცე);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

2. *საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი) –*

1 A - გარემო (N 116 – 10 ადგილი), 1 B გარემო (N 112- 30 ადგილი), 1 C - გარემო (ღია სივრცე);

3. *ბუღალტრული აღრიცხვა -*

1 A - გარემო (N 121 – 30 ადგილი), 1 B გარემო (N 205 – 15 ადგილი);

4. *სკოლამდელი განათლება*

1 A - გარემო (N 204 – 20 ადგილი), 1 B გარემო (N 105 – 10 ადგილი);

5. *ტურიზმი*

1 A - გარემო (N 203), 1 B გარემო (N 205);

6. *ოფისის მენეჯერი*

1 A - გარემო (N 118 – 20 ადგილი), 1 B გარემო (N 105 – 10 ადგილი);

7. *ლოგისტიკა*

1 A - გარემო (N 114 – 15 ადგილი), 1 B გარემო (N 112 - ადგილი),

8. *ფინანსები*

1 A - გარემო (N 207 – 20 ადგილი), 1 B გარემო (N 205 – 15 ადგილი),

9. *ინფორმაციის ტექნოლოგია*

1 A - გარემო (N 114 – 15 ადგილი), 1 B გარემო (N 105 – 15 ადგილი),

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის დირექტორის 2018 წლის 14 მარტის ბრძანებით N021 – „კომპიუტერული ტექნიკის განაწილების შესახებ".*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ტერიტორია გარემონტებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გენერატორი. ყველა აუდიტორია და კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და სავენტილაციო სისტემით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით, განთავსებულია ყველა სართულზე, აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018წ.}

- *ადგილზე დათვალიერებით.*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია როგორც ბეჭდურ კატალოგში, ისე ელექტრონულ საძიებო სისტემაში. სისტემა განთავსებულია სასწავლებლის ვებ გვერდზე, რაც იძლევა სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის თავისუფალი წვდომის საშუალებას. ბიბლიოთეკაში არის მკითხველის მარათები. არის საინვენტარო წიგნი. ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში დამონტაჟებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები და საქართველოს ბიზნესის აკადემიის მიერ გამოცემული წიგნები, რომლებიც ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმითაც.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტ ქსელით და ჩატვირთულია საკანონმდებლო პროგრამა მაცნე, საბუღალტრო პროგრამა ორისი და საბაჟო საქმის პროგრამა "ASYCUDA", აღჭურვილია პრინტერით, სკანერითა და ასლგადამღები აპარატით, სამკითხველო დარბაზში არის 5 კომპიუტერი.

საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი-2017"-თან (20.12.2017წ).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 3162 წიგნად ერთეულს.

ლიტერატურა	რაოდენობა
ქართულ ენოვანი ლიტერატურა	1830
ინგლისურენოვანი ლიტერატურა	550
რუსულენოვანი ლიტერატურა	155
ელექტრონული ლიტერატურა	627
ჯამი	3162

პროგრამების მოდულების მიხედვით შემოწმდა ლიტერატურის სია, დადასტურდა მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში. ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2018წ.)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ადგილზე დათვალიერებით;*
- *ელექტრონული მატარებლის ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით;*
- *ქართულენოვანი სახელმძღვანელოების საინვენტარო წიგნით;*
- *ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების საინვენტარო წიგნით;*
- *რუსულენოვანი სახელმძღვანელოების საინვენტარო წიგნით;*
- *პერიოდული გამოცემების საინვენტარო წიგნით;*
- *აზერბაიჯანულ ენაზე სახელმძღვანელოების საინვენტარო წიგნით;*
- *ელექტრონული კატალოგით(http://sba.edu.ge/obiblio/opac/index.php)*
- *ხელშეკრულებით ა(ა)იპ „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი-2017"-თან (20.12.2017წ).*
- *წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით, უცხო ენის აუდიტორიები აღჭურვილია ინდივიდუალური ყურსასმენებით, მიკროფონით (მოწყობილია ლინგოფონის კაბინეტი).

დაწესებულების ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *აკადემიის დირექტორის 2018 წლის 14 მარტის №021 ბრძანებით „კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების შესახებ";*
- *2016 წლის 4 მაისს კომპანია „გლობალ ერთთან" გაფორმებული მომსახურეობის ხელშეკრულებით;*
- *შპს „ალტა სოფტვეართან" 2017 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული N18082017-01 (რ-32) ხელშეკრულებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

შეფასება:

- ■ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*
- □ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს ბიზნესის აკადემიაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. არის შემოსული და გასული კორესპონდენციის, ბრძანებების, კოლეგიალური ორგანოების ოქმების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალები, რომლებიც ზონარგაყრილია, დამოწმებულია ბეჭდით, და დანომრილია გვერდები.

დაწესებულების მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესები ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების" მოთხოვნებს.

დაწესებულების აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება ბლანკზე, რომელზეც მითითებულია დაწესებულების დასახელება, დაწესებულების სახე, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

EFQM-ის ფარგლებში, 2016 წლის თვითშეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, EFQM-ის მოდელის შესაბამისი კრიტერიუმის „პროცესები, პროდუქცია, მომსახურება" უზრუნველყოფის და გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ განახორციელა პროექტი - „საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ორგანიზება-მართვა", რომლის ფარგლებშიც, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემუშავდა შემდეგი დოკუმენტები:

1. *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA საქმისწარმოების ერთიანი წესი;*
2. *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA საქმეთა ნომენკლატურა;*
3. *სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;*

რომლებითაც არსებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, განისაზღვრა დოკუმენტების შემუშავებისა და მართვისა, ასევე ელექტრონული დოკუმენტებისა და რეესტრების წარმოების წესები, ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური) მართვისა და გავრცელების პროცედურები, დოკუმენტების შენახვის პროცედურები და ვადები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ადგილზე დათვალიერებით;*
- *შემოსული და გასული კორესპონდენციის, ბრძანებებით, ხელშეკრულებებისა და ოქმების აღრიცხვის ჟურნალებით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA საქმისწარმოების ერთიანი წესით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA საქმეთა ნომენკლატურით;*
- *სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით;*

შეფასება:

- ■ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*
- □ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი-

აკადემიაში საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ოპერატიულად და ხარისხიანად უზრუნველყოფის მიზნით, არსებობს აკადემიის დირექტორის 2014 წლის 6 ოქტომბრის N147 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა"; შექმნილია საგანგებო შტაბი, გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა და რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით. 2014 წლის 3 დეკემბერს აკადემიის პერსონალმა გაიარა ინსტრუქტაჟი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში „სახანძრო-სამაშველო, პირველადი სამედიცინო დახმარების და სამოქალაქო თავდაცვის" საკითხებში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; დადგენილი წესით. შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვარგისიანობის ვადა.

დაცვის სამსახური ახორციელებს პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟსა და სწავლებას. ასევე, სისტემატურად ატარებს ევაკუაციის იმიტირებულ პროცედურას, რომელიც ხორციელდება ზემოაღნიშნული ინსტრუქტაჟის შესაბამისად. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სამაშველო სამსახურის ნომრები.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

დაწესებულებაში არსებობს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმები, რომლებიც გამოკრულია მითითებულ ადგილებში აკადემიის მთელ შენობაში: საევაკუაციო გასასვლელებთან და დერეფნების კედლებზე. შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გასასვლელების მინიშნებები. გეგმებზე მითითებულია საკონტაქტო ნომრები: სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გამოსაძახებლად.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით აკადემიაში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის (დაცულია შენახვის ვადა და პირობები).

სამსახურში დასაქმებულია ლიცენზირებული ზოგადი პროფილის ექიმი და დიპლომირებული მედდა. სამედიცინო კაბინეტში ინახება სტუდენტებისა და პედაგოგების სამედიცინო ისტორიები, რაც დადასტურდა როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე სამედიცინო პუნქტის თანამშრომელთან გასაუბრებით.

დაწესებულების ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის მიერ სისტემატურად ხორციელდება აუცილებელი პირველადი დახმარების მედიკამენტებისა და საშუალებების შეძენა-განახლება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და ჰიგიენური დასუფთავების წესი", რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახმად ხორციელდება მონიტორინგი, სასწავლო და დამხმარე სათავსოების, სანიტარული კვანძების, კვების ბლოკის, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება-დეზინფექციაზე. სამედიცინო პერსონალი ასევე ანხორციელებს სასწავლო–სააუდიტორიო სივრცის სისუფთავის კონტროლს.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები-
დაწესებულებაში შექმნილია დაცვის სამსახური, რომელიც მოქმედებს დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით. დებულებით გაწერილი სამუშაო აღწერილობების შესაბამისად სამსახური დაკომპლექტებულია 3 თანამშრომლით და მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. აკადემიას შემუშავებული აქვს დაცვის სამსახურის მორიგეობის განრიგი, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია 24 საათიანი რეჟიმით დაცვა. აკადემიის გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო–კონტროლის სისტემით.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები, ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები აღწერილია აკადემიის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია აკადემიის ვებ–გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–ის შინაგანაწესით;
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის დირექტორის 2014 წლის 6 ოქტომბრის N147 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა";
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის დირექტორის 2014 წლის 6 ოქტომბრის N147 ბრძანებით „საევაკუაციო გეგმები";
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის დირექტორის 2017 წლის 4 დეკემბრის N133 ბრძანებით, საგანგებო შტაბის შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელებისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ;
- საქართველოს ბიზნესის აკადამია–SBA–ის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვლის N009 ბრძანებით „სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და დასუფთავების წესი დამტკიცების შესახებ";
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენის და გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- მედიკამენტების შეძენისა და გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ევაკუაციის იმიტირებული პროცედურების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებულ გარემოს. დაწესებულების მთელ შენობაში დამონტაჟებულია პანდუსები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და აკადემიის სერვისების სრულ ხელმისაწვდომობას.

დაწესებულებაში მოწყობილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მოსასვენებელი ოთახი, სველი წერტილი, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი სტანდარტებითა და აღჭურვილობით.

დაწესებულება მდებარეობს უსინათლოებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონში, ამიტომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ კატეგორიის შშმ პირებს, მათთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. საქართველოს უსინათლოთა კავშირთან პარტნიორობისა და გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აკადემიას გადმოეცა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ კატეგორიის საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის სასწავლო მასალების, ლიტერატურის აუდიოჩანაწერების მომზადება და ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

აკადემიას ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი ჟესტური ენის თარჯიმანი. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ინტერვიურებისას განუმარტა ექსპერტებს მისი ფუნქცია-მოვალეობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–ის წესდებით;*
- *საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სა და საქართველოს უსინათლოთა კავშირს შორის გაფორმებული მემორანდუმით და უსინათლო მომხმარებლისათვის ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის სპეციალური პროგრამის გადმოცემის აქტით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*

შეფასება:

■ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

□ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ–გვერდი - www.sba.edu.ge უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის შესრულებას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შესახებ, ინფორმაცია პერსონალის, პარტნიორების შესახებ, დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, შიდა მარეგულირებელი აქტები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ გვერდზე არსებობს საძიებო სისტემა. დაწესებულებას აქვს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფის სერტიფიკატი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

დაწესებულებაში არსებობს „ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესი", რომელიც დამტკიცებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"-ის დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის N070 ბრძანებით.

აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოყოფილია ვებ–გვერდზე ინფორმაციის განახლება–განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. აკადემიის ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებ–გვერდი ორენოვანია და აქვს ინგლისურენოვანი ვერსიაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–ის ვებ-გვერდით www.sba.edu.ge;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–ის დირექტორის 2011 წლის 21 იანვრის №001 ბრძანებით „აკადემიის ვებ-გვერდის განახლების უზრუნველყოფის შესახებ";
- დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის N070 ბრძანებით დამტკიცებული „ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესი";
- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–ის დირექტორის 2011 წლის 11 ოქტომბრის №077 ბრძანება „ვებ ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ";
- საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–სა და შპს „4 მოტივს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება აკადემიის ვებ–გვერდის განახლების შესახებ;
- შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA"-ის დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის N070 ბრძანებით დამტკიცებული შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

აღნიშნული გეგმების შემუშავება ხდება სტრატეგიული გეგმების შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2017 წლის 25 მაისს N-041 ბრძანებით.

ინსტრუქციის მიზანია სტრატეგიული გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და მისი შესრულების კონტროლის ინსტრუმენტების/მეთოდების უზრუნველყოფა.

სტრატეგიული გეგმები გაფორმებულია ცხრილის ფორმატში და მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნებისა და განსაზღვრული პრიორიტეტის მისაღწევ კონკრეტულ შესრულების სტრატეგიას/ამოცანებს, შესრულების ვადებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს/სტრატეგიულ ერთეულს, შესრულების მაჩვენებელს/ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ]

სტრატეგიული გეგმები ითვალისწინებს მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დამატებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია 2015-2020 წწ.

დაწესებულებაში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, ანალიზი და მისი წარდგენა ხდება სენატთან. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, გაწერილია სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლისა და პერიოდული ანგარიშგების ვადები. სტრატეგიული დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ; სრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება SWOT ანალიზს ან შესაბამის კვლევებს/პროგნოზებს და შედგება რამდენიმე მსხვილი მიზნისაგან. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიულ მიზნებს, მისი შესრულების ვადებს (წლების მიხედვით), შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს/პოზიციებს (ორგანიზაციის სტრუქტურის მიხედვით) და ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუქციით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმით 2018-2024 წწ;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 1-ლი კვარტალური ანგარიშით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიია 2015-2020 წწ.*

შეფასება:

- ■ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*
- ☐ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

დაწესებულების როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. აკადემია მუდმივად ზრუნავს პერსონალის, როგორც ადმინისტრაციული და დამხმარე, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის განახლებაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში, პროექტებში, სამუშაო ჯგუფებსა და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის/ოპტიმიზაციის პროცესში.

კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის განახლების უზრუნველყოფის მიზნით, აკადემია ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. დაწესებულება ასევე ხელს უწყობს პერსონალს მონაწილეობა მიიღონ გარე კონფერენციებსა და ტრენინგებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ]

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის პირადი საქმეებიs გადამოწმებით;*
- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA კონფერენციების მასალებით;*
- *პროფესიულ პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, დადგინდა, რომ პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა რაოდენობა შეადგენს 64-ს. სასწავლებელში სტუდენტთა ჯამური ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 360-ით. ამდენად, პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა 5:1-თან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;*
- *პროფესიულ პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქმის წარმოების ინსტრუქციის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეში ინახება: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (დიპლომები, სერთიფიკატები და სხვა), ანკეტა CV, პირადობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ამონაწერი ბრძანებიდან ან ბრძანების ასლი სამსახურში მიღების თაობაზე, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები ან დედანი, პერსონალთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება.

პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, რომელიც შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა. მომსახურების ხელშეკრულებაში განმარტებულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მომსახურების საფასური და გადახდის პირობები.

<u>რიგ შემთხვევებში დამატების სახით ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ცვლილების ამსახველ თანდართულ დოკუმენტზე არ ფიქსირდება თარიღი.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებით (, თავი II „პერსონალის არჩევის/დანიშვნის წესი“);*
- *პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	*საბაჟო საქმე*	*მე-5 საფეხური*	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 020368	106,5	136,5	ქართული	ქ. თბილისში, რუსთაველის გზატკეცილი N18-22	28	60
2	*ბუღალტრული აღრიცხვა*	*მე-5 საფეხური*	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული		0	60
3	*სკოლამდელი განათლება*	*მე-5 საფეხური*	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული		0	40
4	*ტურიზმი*	*მე-5 საფეხური*	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	115	145	ქართული		0	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]

5	*ოფისის მენეჯერი*	*მე-4 საფეხური*	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული		0	40
6	*ლოგისტიკა*	*მე-4 საფეხური*	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული		0	30
7	*ფინანსები*	*მე-3 საფეხური*	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	55	70	ქართული		0	40
8	*ინფორმაციის ტექნოლოგია*	*მე-3 საფეხური*	მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული		0	30
9	*საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი)*	*მე-5 საფეხური*	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში - Fifth level vocational qualification in customs study 020368	---	109,5	ინგლისური		0	20

IX. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ფოტომასალა (დისკი)

02.08.2018წ ქ. თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[თბილისი, 2018წ.]